საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის რეფორმა

სამოქმედო გეგმა

2010

www.pfm.ge

I
სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვა

სახელმწიფო სახსრების ფინანსური მართვის ფუნდამენტური მიზანია ქვეყანაში არსებული რესურსების ეფექტურად გამოყენება. ამ მიზნის მისაღწევად ფისკალური პოლიტიკა მიმართულია სახელმწიფო სახსრების სტრატეგიულ განთავსებაზე, რაც გულისხმობს სახელმწიფო სახსრების სახელმწიფო პრიორიტეტებისკენ ეფექტურად მიმართვას და ამ პრიორიტეტების დასაფინანსებლად მრავალწლიანი მყარი ფინანსირების პაკეტის შექმნას. ეფექტურობის ზრდისათვის მნიშვნელოვანია ფისკალური პოლიტიკა გადავიდეს ერთწლიანი დაგეგმარებიდან მრავალწლიან დაგეგმარებაზე. აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს გრძელვადიან დაგეგმარებას და სახელმწიფო საშუალოვადიანი პრიორიტეტებისათვის დაფინანსების საიმედოობას.

სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის სრულყოფა ითვალისწინებს შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების პროცესზე გადასვლას, რაც გულისხმობს, რომ ბიუჯეტის სახსრები გამოყოფილი იქნება პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელ ქმედებათა დასაფინანსებლად და პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.

შახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის ერთ-ერთი ცენტრალური ნაწილია ეფექტური ანგარიშვალდებულების სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც შეაფასებს და შეადარებს ფისკალური პოლიტიკის ფარგლებში მიღწეულ რეალურ შედეგებს დაგეგმილ შედეგებთან. სახელმწიფო სახსრების ეფექტური ფინანსური მართვა ემსახურება ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილურობის გაუმჯობესსებას. სტრატეგიული ბიუჯეტირება ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სექტორში დისციპლინის ზრდას.

II

სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის სისტემური სტრუქტურა

სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის სისტემა წარმოადგენს ურთიერთდაკავშრებულ ელემენტებს:

- ***ბიუჯეტის სტრატეგიული შედგენა*** *– ეკონომიკური პოლიტიკის და ბიუჯეტის ურთიერთკავშირი. რესურსების საიმედო წყარო და ბიუჯეტით გამოყოფილი მაქსიმალური თანხები, რომელთა შესაბამისად სამინისტროებს და სხვა მომხმარებლებს, შეუძლიათ პრიორიტეტულად დაგეგმონ თავიანთი საქმიანობები ეროვნულ და სექტორულ დონეზე.*

- ***ბიუჯეტის მომზადება და დამტკიცება*** *- პროცესი რომლის დროსაც ხდება რესურსების განთავსება პრიორიტეტული დარგების მიხედვით,*

- ***რესურესების მართვა*** *- I) ფინანსური რესურსები (შემოსავლების მობილიზაცია, სახელმწიფო ვალი და ნაღდი ანგარიშსწორება) II) სახელმწიფო შესყიდვები, III) პერსონალის და IV) ძირითადი აქტივების მართვის საკითხებს,*

- ***შიდა კონტროლი*** *- I) ფინასნური რეგულირება და საკონტროლო პროცედურები, II) რესურსების მართვის პროცედურების ეფექტიანობა და III) ბიუჯეტის შესრულებაზე მონიტორინგის სისტემები და პროცედურები.*

- ***აღრიცხვა და ანგარიშგება*** *- ფინანსური ტრანზაქციების აღრიცხვა, შეგროვება და ანგარიშგება,*

- ***გარე აუდიტი და ანგარიშვალდებულება*** *- უზრუნველყოფს მთავრობის მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე ზემდგომი მაკონტროლებელი ორგანოს და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან დამოუკიდებელი შეფასების არსებობას.*

სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის ეფექტური სისტემისათვის აუცილებელია მთავრობის პოლიტიკის განმახორციელებელ და სტრატეგიულ დაგეგმვის პროცესებს შორის ძლიერი კავშირი. მასში შემავალი ცალკეული ელემენტები უნდა ხასიათდებოდეს I) კარგად დამუშავებული და ძლიერი შიდა პროცესების არსებობით II) სხვა ელემენტებთან მყარი ურთიერთკავშირით.

III

სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის რეფორმა

სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის რეფორმის 2009–2013 წლების სტრატეგიული დოკუმენტის პრეზენტაცია შედგა 2009 წლის თებერვალში PEFA-ს სამუშაო შეხვედრის დროს. პრეზენტაციის შემდგომ მოხდა, დოკუმენტის სრულყოფა და დამტკიცება (აპრილი 2009). რეფორმის უმთავრესი მიზანია სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის შემდგომი განვითარება და გაძლიერება. რეფორმის ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

- *ფისკალური დისციპლინის შენარჩუნება, საბიუჯეტო სისტემის მაკროეკონომიკური სტაბილურობა და პროგნოზირება,*
- *სტრატეგიული მიდგომით რესურსების მიმართვა პოლიტიკურად და სტრატეგიულად პრიორიტეტულ საკითხებზე,*
- *რესურსების მაქსიმალურად ეფექტურად და ეფექტიანად გამოყენება,*
- *სახელმწიფო რესურსების გამოყენებაზე ანგარიშგებისა და კონტროლის უზრუნველყოფა.*

IV

სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის რეფორმის მონიტორინგი

სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის რეფორმის 2009–2013 წლების სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით 2010 წლის მარტში ფინანსთა სამინისტროში შეიქმნა საკოორდინაციო საბჭო, რომლის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- რეფორმის სტრატეგიის თაობაზე შესაბამისი წინადადებების შემუშავება,
- რეფორმის სტრატეგიის შესაბამისი წლის სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება,
- სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიშის მომზადების ხელმშეწყობა,
- სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში სამინისტროს სისტემაში შემავალი სუბიექტების საქმიანობის კოორდინაცია,
- რეფორმის სტრატეგიის და შესაბამისი წლის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის მონიტორინგი.

საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში სამინისტროს წარმომადგენლების გარდა მონაწილეობას იღებენ, საქართველოს პარლამენტის წევრები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, კერძო სექტორის წარმომადგენლები.

V
რეფორმის სამოქმედო გეგმა

რეფორმის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს სტრატეგიული სტრუქტურის და სამოქმედო გეგმის არსებობა. სტრატეგიული დოკუმენტის პარალელურად ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა და წარმატებით განახორციელა 2009 წლის სამოქმედო გეგმა. წლის შემაჯამებელ ანგარიში ხაზგასმულია რეფორმის ძირითადი შედეგები და განსაზღვრულია სამომავლო გეგმები. აღნიშნული მიღწევების შესახებ საზოგადოების ინფორმირება მოხდა 2009 წლის ოქტომბერში ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით გამართულ შეხვედრაზე.

ამ დოკუმეტნტის მიზანია სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის რეფორმის მოკლე მიმოხილვა და 2010 წლის სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია. სამოქმედო გეგმა მოიცავს ძირითად პრიორიტეტებს და ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი შესაბამისი სუბიექტების მიერ შესასრულებელ ღონისძიებებს. შესაბამისად ყოველი ამოცანის დროული შესრულება, რეფორმის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორია.

VI
სამოქმედო გეგმა 2010

ბიუჯეტირება

MTEF-ის შემდგომი განვითარება	პერიოდი	რესურსი*
პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის გეგმის შემუშავება	მარტი	სდ
BDD დოკუმენტის ახალი ფორმატით შემუშავება, რომლითაც განისაზღვრება დასაგეგმი 4 წლისათვის მხარჯავი დაწესებულებების ზღვრული მოცულობები	ივლისი	სდ
საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ელექტრონული ბიუჯეტის სისტემის შემუშავება	ივლისი	სდ,სს,სას
ბიუჯეტის მართვის სისტემა – ბიუჯეტის დაგეგმვის მოდელის შემუშავება	სექტემბერი	სდ,სს,სას
პროგრამული ბიუჯეტის მომზადება დამატებით 3 სამინისტროსათვის	ნოემბერი	სდ
კაპიტალური ბიუჯეტის მომზადება დამატებით ერთი თვითმმართველი ქალაქისათვის – ქ. თბილისი	ნოემბერი	სდ
ბიუჯეტის შესრულების და კონტროლის სრულყოფა		
საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბაზის განახლება და გაფართოვება	სისტემატურად	სდ
"საბიუჯეტო კოდექსის" ამოქმედებიდან გამომდინარე შესაბამისი სამართლებრივი აქტების მომზადება და/ან არსებულში ცვლილებების შეტანა	იანვარი	სდ
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაციის მისაღებად საჭირო ფორმების მომზადება	თებერვალი	სდ
ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ფორმების შემუშავება	თებერვალი	სდ

2009 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად მსხვილი სსიპ-ების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშების მომზადება	მარტი	სდ
პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტების დანერგვასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრების ჩატარება	აპრილი, მაისი	სდ
საბიუჯეტო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების გაცნობის მიზნით სამინისტროების და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრების ჩატარება	აპრილი, მაისი	სდ
პილოტური სამინისტროებისათვის პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტების შესრულების ანგარიშის ფორმების შემუშავება	ნოემბერი	სდ

***სდ** - საბიუჯეტო დეპარტამენტი **სს** - სახაზინო სამსახური*

***სს** - სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური*

რესურსების მართვა

ფინანსთა სამინისტროს საქმიანობის ეფექტურობის გაუმჯობესება	პერიოდი	რესურსი*
ინიცირებული ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების ხელშეკრულებების პარაფირება და ხელმოწერა	იანვარი	ფპდ
საგადასახადო დავებთან დაკავშირებული საქმეების ავტომატიზირებული მართვის სისტემის დანერგვა შემოსავლების სამსახურის რეგიონალურ ოფისებში	მაისი	სდს
მაკრო და ფისკალური პროგნოზირების მოდელის ხაზინის და ბიუჯეტის მართვის სისტემებში ინტეგრირების საკითხის შესწავლა	ნოემბერი	სდს, სას
გადამხდელთა ინფორმირებულობის და საჯაროობის ამაღლება		
საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებული საინფორმაციო ბუკლეტების და ბროშურების გამოცემა: - საგადასახადო ჯიბის წიგნაკი, - საერთაშორისო ფინანსური კომპანია, - თავისუფალი ინდუსტრიული ზონები, - მნიშვნელოვანი ქონებით უზრუნველყოფილი პირისათვის რეზიდენტობის სტატუსის მინიჭება, - თავისუფალი საწყობის მოწყობა	სისტემატურად	ფპდ
საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება		
საგადასახადო დავების ინვენტარიზაცია, შესაძლო საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვირს მიზნით ხშირი და განმეორებითი საქმეების გამოვლენა	აპრილი	სდს
საგადასახადო დავების სისტემის მარეგულირებელი პროცედურების სრულყოფა, გაერთიანება და გამარტივება	აპრილი	სდს
საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაციისასთან დაკავშირებული პროცედურების გამარტივება და სრულყოფა	აპრილი	ფპდ
მოსაკრებლების კოდექსის პროექტის მომზადება	ივნისი	ფპდ

საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის რეფორმირება: - ტრანსფერ ფრაიზინგის წესების დანერგვა, - მცირე და მიკრო ბიზნესის მარეგულირებელი ნორმების შემოღება, - საერთაშორისო გადაზიდვების მარეგულირებელი ნორმების დახვეწა.	სექტემბერი	ფპდ
გადამხდელთათვის მომსახურების გამარტივება		
ფიზიკური პირების მიერ იმპორტირებულ საქონელზე დეკლარაციების და დეკლარირების პროცედურების გამარტივება (ელექტრონული დეკლარირება ფორმა)	იანვარი	შს, სას
ფიზიკური პირებისათვის საქონლის ექსპორტის პროცედურების გამარტივება (10 000 ლარამდე ღირებულების საქონელი განთავისუფლდება დეკლარირების ვალდებულებისაგან).	იანვარი	შს
საბაჟო ორგანოების მიერ წარმოშობის სერთიფიკატების გაცემა	ივნისი	შს
დროებით შემოტანილ საქონელზე პროცედურების გამარტივება (სტამბულის დროებითი დაშვების კონვენციაზე მიერთება)	აგვისტო	შს
წინასწარი საბაჟო გადაწყვეტილების და წინასწარი დეკლარირების ინსტიტუტის შექმნა	სექტემბერი	შს
მსხვილ გადამხდელებისათვის პირადი საგადასახადო აგენტის სისტემის დანერგვა	ნოემბერი	შს
გადამხდელთა ელექტრონული მომსახურების სისტემის განვითარება		
შემოსავლების სამსახურსა და საჯარო რეესტრს შორის ინფორმაციის გაცვლის ელექტრონული სისტემის დანერგვა.	მარტი	შს, სას
წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის ერთიანი ელექტრონული მოანცემთა ბაზის შექმნა	მაისი	შს, სას
სამკურნალო საშუალებების საბაჟო აღნუსხვის ფორმატთა ელექტრონული დამუშავება	მაისი	შს, სას
საბაჟო დამუშავების ოპერაციების განხორციელების ადგილებზე, კომპიუტერული სისტემა „ASYCUDA World"-ის დანერგვა	მაისი	შს, სას
ფიტოსანიტარული სასაზღვრო-საკარანტინო, ვეტერინალური სასაზღვრო-საკარანტინო, სანიტარულ-საკარანტინო კონტროლის პროცედურების ასახვა ელექტრონულ მონაცემთა სისტემაში	აგვისტო	შს
ლიცენზიებსა და ნებართვებზე სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის "Tracker Systems"–ის დანერგვა	აგვისტო	შს

გადასახადის გადახდა ელექტრონულად (ბარათი)	აგვისტო	შს, სას
საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების ელექტრონულად შევსება	აგვისტო	შს, სას
საბაჟო გამშვებ პუნქტებზე სისტემა `ASYCUDA World''-ის ტრანზიტის მოდულში რისკის კრიტერიუმთა ამოქმედება	ნოემბერი	შს, სას
ადმინისტრირების გაძლიერება გადასახადების არგადამხდელთა და დეკლარაციის არწარმომდგენთა მოდულის შექმნით	დეკემბერი	შს
მოთხოვნების ელქტრონული ფორმით წარმოდგენის სერვისი:		
- საგადასახადო საჩივრების ელექტრონულად წარდგენა	აგვისტო	შს, სას
- აქციზური მარკების მიწოდება	აგვისტო	შს, სას
- დღგ-ს სტანდარტული და სპეციალური ანგარიშ-ფაქტურების ფორმების მიწოდება	აგვისტო	შს, სას
- ბიუჯეტში ზედმეტობით გადახდილი თანხების დაბრუნება	ოქტომბერი	შს, სას
- საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაცია	დეკემბერი	შს, სას
საგადასახადო-საბაჟო პროცედურების დახვეწა, საერთო სტანდარტების დანერგვა		
საბაჟო გაფორმების პროცედურული სახელმძღვანელოს შექმნა	მაისი	შს
საგადასახადო ორგანოების პროცედურული სახელმძღვანელოების შემუშავება	ივლისი	შს
ყველა საბაჟო გამშვები პუნქტებისათვის ტექნოლოგიური სქემების შემუშავება	ნოემბერი	შს
სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების მართვა		
სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების რეესტრი	იანვარი	მს
ელექტრონული აუქციონის სისტემის შექმნა	აპრილი	მს,სას
ინტერნეტ მაღაზია	მაისი, ივნისი	მს
ქონების განკარგვის საჯაროობის უზრუნველსაყოფად შოურუმის მოწყობა	ივლისი	მს

სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების განკარგვა – ინვენტარიზაცია, დასაწყობება, შეფასება	დეკემბერი	მს

სასწავლო ცენტრი

ახალი "ორხევის" სასწავლო ცენტრის ამოქმედება	აპრილი	მს
სასწავლო პროცესის მართვის კომპიუტერული პროგრამის მომზადება და დანერგვა	იანვარი, სექტემბერი	მს
დისტანციური სწავლების პროგრამის შემუშავება	იანვარი, სექტემბერი	მს
სასწავლო პროგრამების სტანდარტული პროცედურების ჩამოყალიბება და პროგრამების შემუშავების ახალი პროცესის დანერგვა	იანვარი, დეკემბერი	მს
სწავლების საერთაშორისო სტანდარტით "ADDIE" გათვალისწინებული პროცედურების დანერგვა	იანვარი, დეკემბერი	მს

** **ფპდ** - ფინანსური პოლიტიკის დეპარტამენტი **სას** - სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური*

***შს** - სსიპ შემოსავლების სამსახური **სდს** - საგადასახადო დავების სამსახური **მს** – სსიპ მომსახურების სააგენტო*

აღრიცხვა და ანგარიშგება

სახელმწიფო სექტორში აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა (IPSAS)	**პერიოდი**	**რესურსი***
IPSAS-ის მოდიფიცირებული საკასო მეთოდის დანერგვისათვის პილოტური ორგანიზაციების გამოვლენა	მარტი	სს
პილოტური ორგანიზაციებისათვის ფორმებისა და მეთოდური მითითებების მოზადება	მარტი	სს
საქართველოში სახელმწიფო სექტორის აღიცხვის სტანდარტების საბჭოს შექმნა	მარტი	სს
პილოტურ ორგანიზაციებში IPSAS-ის მოდიფიცირებული საკასო მეთოდის გამოყენება	დეკემბერი	სს
მთლიან სახელმწიფო სექტორში IPSAS-ის მოდიფიცირებული საკასო მეთოდის დანერგვისათვის ინსტრუქციების მომზადება	დეკემბერი	სს
რისკის მართვის მექანიზმების გაუმჯობესება		
შიდა კონტროლის მექანიზმების დანერგვა სახაზინო სამსახურში	მარტი	სს
ლიკვიდურობის მართვის მანდატის დამტკიცება	ივლისი	სს
ინტეგრირებული სახელმწიფო ფინანსური საინფორმაციო სისტემის (PFMS) დანერგვა		
PFMS-ის შესყიდვის პროცედურების ინიცირება, მოწვევა ინტერესთა გამოხატვაზე და ტენდერის გამოცხადება	მაისი	სს, სას
ელექტრონული ხაზინის სერვისის განვითარება და დანერგვა	ივლისი	სს, სას
სახაზინო სამსახურის არსებული საინფორმაციო სისტემის მოდერნიზაცია	დეკემბერი	სს, სას
საშუალოვადიანი კუპონური სახაზინო ობლიგაციების გამოშვება		
სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დებულებაში ცვლილებების შეტანა	იანვარი	სს

საშუალოვადიანი კუპონური სახაზინო ობლიგაციების ემისია	თებერვალი	სს

**** სს** - სახაზინო სამსახური **სას** - სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური*

შიდა აუდიტი

შიდა აუდიტის ერთიანი კონცეფციის ჩამოყალიბება და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზებული სისტემის შექმნა	**პერიოდი**	**რესურსი***
სამინისტროების შიდა აუდიტის დეპარტამენტებისათვის IIA საერთაშორისო სტანდარტებსა და ევროკომისიის პრაქტიკაზე დაფუძნებული სტანდარტული დებულების მომზადება და დამტკიცება	მაისი	ჰც, შას
სამინისტროთა დებულებების და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის გადახედვა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისობა სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინპექტირების კანონთან	ივნისი	ჰც, შას
IIA დაყრდნობით შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსის შემუშავება და შიდა აუდიტის სტანდარტების მომზადება	ივნისი, ივლისი	ჰც, შას
შიდა აუდიტის სახელმძღვანელოების (გზამკვლევების) შემუშავება	აგვისტო	ჰც, შას
ფინანსური მართვისა და კონტროლის (FMC) სტანდარტის შემუშავება და დამტკიცება	აგვისტო	ჰც, შას
ფინანსური მართვისა და კონტროლის (FMC) პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება და დამტკიცება	აგვისტო	ჰც
რისკის მართვის სახელმძღვანელოების შექმნა	სექტემბერი	ჰც
შიდა აუდიტის სასწავლო გეგმისა და სერთიფიცირების პროგრამის შემუშავება	სექტემბერი	ჰც
სამინისტროებში შიდა აუდიტის განყოფილებების წლიური და სტრატეგიული გეგმების მიმოხილვა და კონსულტაცია	ოქტომბერი	ჰც
შიდა აუდიტის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების სრულყოფა	ოქტომბერი	ჰც
შიდა აუდიტის დეპარტამენტების სახელმძღვანელო პრინციპებისა და დეტალური მეთოდოლოგიის შემუშავება	ოქტომბერი	ჰც

შიდა აუდიტის პროცედურების სრულყოფა და პრაქტიკული განხორციელებადობა		
სახელმწიფო შიდა კონტროლის ეროვნული ცენტრის ჩამოყალიბება	აპრილი	ფს

შიდა კონტროლის ეროვნული ცენტრის ცენტრის თანამშრომლების ტრენინგი	მაისი	ჰც, EU
ადგილობრივი მთავრობების ხელმძღვანელობების მოსამზადებელი ტრეინინგი სახელმწიფო შიდა აუდიტის საკითხებში	ივლისი	ჰც
სამინისტროების ხელშეწყობა შიდა აუდიტის სტანდარტების დანერგვაში	აგვისტო	ჰც
სამინისტროთა ტრენინგი პილოტური აუდიტის ჩატარებაში	სექტემბერი, ოქტომბერი	ჰც, EU
პილოტური აუდიტი ფინანსთა სამინისტროში	ოქტომბერი	ჰც, შას
ტრეინინგი რისკის მართვის მეთოდოლოგიაში	ოქტომბერი	ჰც, შას
ადგილობრივი მთავრობებისთვის სახელმწიფო შიდა აუდიტის ჩამოყალიბებისა და განვითარების გეგმის შემუშავება და დამტკიცება	ოქტომბერი, ნოემბერი	ჰც

**** შას** - შიდა აუდიტის სამმართველო **ჰც** - ჰარმონიზაციის ცენტრი*

***ფს** - ფინანსთა სამინისტრო **EU** - ევროკავშირი*

ელექტრონული ტექნოლოგიები

ელექტრონული ტექნოლოგიების გაუმჯობესება და განვითარება	პერიოდი	რესურსი*
გდამხდელთა პორტალის განვითარება, ოპტიმიზაცია და მხარდაჭერა, პორტალში ახალი ელექტორნული სერვისების ჩაშენება	წლის განმავლობაში	სას, შს
ადამიანური რესურსების მართვის სისტემის დანერგვა	თებერვალი, ივნისი	სას
საჯარო მოხელეებისათვის ქონების წლიური დეკლარაციის ელექტრონული ფორმით წარდგენის სისტემა	მარტი	სას, შს
ITIL სტანდარტებზე გადასვლის დაგეგმვა და სტანდარტების დანერგვის ინიცირება	ივლისი	სას
საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების სამწლიანი სტრატეგიის შემუშავება	აგვისტო	სას
ვალის მართვის და ფინანსური ანალიზის სისტემის (DMFAS 6.0) უახლესი ვერსიის შესწავლა	სექტემბერი	სას, სუდ
საინფორმაციო ტექნოლოგიების სტრატეგიის ფარგლებში ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბება	დეკემბერი	სას
მონაცემთა უსაფრთხოების და სისტემების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით ბიზნეს პროცესების უწყვეტობის ცენტრის დაპროექტება (BCC-DRS)	დეკემბერი	სას

** **სას** - სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური* ***შს*** *- სსიპ შემოსავლების სამსახური*

სუდ *– საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი*